



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბიუროს ბრძანების

ბრძანება № 182

ქ. თბილისი

30 ნოემბერი 2018წ.

2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1531986; 30.11.2018) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის პროექტების რანჟირებული სიები სამეცნიერო ქვემიმართულებების მიხედვით ამ ბრძანების დანართის N1 შესაბამისად;
2. დამტკიცდეს 2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის N2 შესაბამისად;
3. გამარჯვებული პროექტის ავტორმა დოქტორანტებმა არაუგვიანეს 2018 წლის 12 დეკემბრისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ აქტიური სტატუსის შესახებ ცნობა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ბანკის ანგარიშის ნომერი;
4. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებული გამარჯვებული პროექტების ავტორ დოქტორანტებთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა.


შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

-----  ----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:


1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი


-----  ----- /ეკატერინე კლდიაშვილი/

3. გენერალური დირექტორის მოადგილე

-----  ----- /ნინო გაჩეჩილაძე/

5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

A handwritten signature in blue ink, consisting of a series of loops and a long horizontal stroke extending to the right.